**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

31 ოქტომბერი 2024

N 21/11205

**შპს „არაგვს“**
**მის:** ქ. ჭიათურა, ნინოშვილის №6
**ელ. ფოსტა:** Demiko.mrmaster@gmail.com

**ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს**

სააგენტომ განიხილა თქვენი №9655 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მანგანუმის მადნისა და მისი გამდიდრების ნარჩენების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- დოკუმენტის მიხედვით, საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია გაწმენდილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ნაწილის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება და ნაწილის მდ. ნეკრესაში ჩაშვება. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „საწარმო მუშაობის პროცესში შეეცდება მაქსიმალურად შეამციროს ჩამდინარე წყლის ხარჯი და **საბოლოოდ უზრუნველყოს წყლის გამოყენების ჩაკეტილი ციკლის მოწყობა**.“ შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როდის იქნება უზრუნველყოფილი სრულად ჩაკეტილ ციკლზე გადასვლა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში გათვალისწინებული იქნება სრულად ჩაკეტილი ციკლი, აღარ იქნება საჭირო ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს თუ რა ფართობზე ხდება დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნა და ასევე დასაზუსტებელია წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა;
- მონაცემთა გადამოწმებით, წყალაღების და წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები (X-361552, Y-4684910; X-361552 Y-4684910) ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ხოლო წყალჩაშვების წერტილამდე ჩამდინარე წყლების გამყვანი მილსადენი shp ფაილებში ასახული არ არის. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ჩამდინარე წყლების გამყვანი მილსადენის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული მილსადენი ასევე დატანილი უნდა ქნეს წარმოდგენილ shp ფაილებში. ამასთან, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა საჭიროებს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას, რაზეც ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სალექარის ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია, ასევე, რა რაოდენობის საწარმოო ჩამდინარე წყალი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში და რა რაოდენობის ჩაედინება მდ. ნეკრესაში;
- დოკუმენტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებად განხილულია მხოლოდ სალექარის პარამეტრების ცვლილება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარები არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებაში მოცემულ ტექნოლოგიურ პროცესსა და დანადგარებს. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ნედლეულის ნაწილი, რომელიც არ გადის ცხავში გადის სამსხვრევში, რაც გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული არ ყოფილა. შესაბამისად, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება უნდა შეფასდეს ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (ყბებიანი სამსხვრეველა) გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11205-21-2-202410311707